ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება - ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადებისა და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, ორგანიზაცია დარწმუნებულია თუ არა, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად, ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისათვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია ქვემოთ, მე-16 განმარტებით შენიშვნაში.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი

		გადაანგარიშება				
	შენიშვნა	კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	მოსალოდნელი ზარალი	სხვა*	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ს მიხედვით	კლასიფიკაცია ფასს 9-ს მიხედვით
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	ამორტიზებული ღირებულება (სესხები და მოთხოვნები)	7,116	-	-	7,116	ამორტიზებული ღირებულება
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით	229	-	-	229	რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით
კლიენტებზე გაცემული სესხები	14	ამორტიზებული ღირებულება (სესხები და მოთხოვნები)	31,732	(240)	545	32,037	ამორტიზებული ღირებულება
სულ ფინანსური აქტივები			**39,077**	**(240)**	**545**	**39,382**	
ფინანსური ვალდებულებები							
მიღებული სესხები	17	ამორტიზებული ღირებულება (სესხები და მოთხოვნები)	30,174	-	-	30,174	ამორტიზებული ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით	447	-	-	447	რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით
სულ ფინანსური ვალდებულებები			**30,621**	**-**	**-**	**30,621**	

* სხვა გადაანგარიშება წარმოადგენს წინა პერიოდში კლიენტებზე გაცემული სესხების ჩამოწერის პოლიტიკის ცვლილების შედეგს, ჩამოწერის პოლიტიკა შეცვლილია ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად.

6. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

2018 წლის მონაცემების წარდგენის მიზნებისთვის, 2017 წელს რეკლასიფიკაცია გაუკეთდა შემდეგ მონაცემებს:

პირველადი კლასიფიკაცია	საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციის შემდეგ	ახალი კლასიფიკაცია
სხვა აქტივები	327	(229)	98	ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით
სხვა ვალდებულებები	539	(447)	92	ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

7. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილი:	2018	2017
გაცემული სესხებიდან	11,664	8,263
ბანკში განთავსებები	57	80
სულ საპროცენტო შემოსავალი	**11,721**	**8,343**
საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილი:		
მიღებული სესხები უცხოური ფინანსური ინსტიტუტებისგან	(2,571)	(1,496)
ჯამური საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე	**(2,571)**	**(1,496)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	**9,150**	**6,847**

8. სხვა შემოსავლები

	2018	2017
შემოსავალი ჯარიმიდან და გადასახადებიდან	299	339
სხვა შემოსავლები	13	33
სულ სხვა შემოსავალი	**312**	**372**

9. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2018	2017
ხელფასი	(3,651)	(3,267)
სხვა სარგებელი	(66)	(60)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(3,717)**	**(3,327)**

ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 22.

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	(434)	(379)
იჯარის ხარჯი	(311)	(200)
საკონსულტაციო მომსახურება*	(275)	(204)
სატრანსპორტო ხარჯები	(197)	(186)
კომუნიკაცია	(122)	(100)
იურიდიული ხარჯი	(97)	(57)
საკანცელარიო	(97)	(86)
უსაფრთხოება	(83)	(79)
ოფისის ხარჯი	(66)	(43)
საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა	(44)	(47)
საბანკო ხარჯი	(35)	(29)
სხვა	(168)	(135)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(1,929)**	**(1,545)**

*საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს აუდიტის გადასახადს 34,348 და 35,620 ლარის ოდენობით 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის შესაბამისად.

11. მოგების გადასახადი

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	31 დეკემბერი 2016	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2017	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხებით	350	(58)	292	115	407
ძირითადი საშუალებებით	(307)	(33)	(340)	26	(314)
ამატერიალური აქტივებით	8	1	9	(6)	3
სხვა აქტივებით	(158)	124	(34)	34	-
სხვა ვალდებულებებით	8	59	67	(49)	18
გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი	41	(41)	-	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(58)**	**52**	**(6)**	**120**	**114**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(434)	(341)
დროებითი სხვაობების ეფექტი	120	52
მოგების გადასახადის ხარჯი	**(314)**	**(289)**

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	**341**	**1,203**
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	**(51)**	**(180)**
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(263)	(109)
მოგების გადასახადის სარგებელი	**(314)**	**(289)**

12. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული	159	182
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,251	878
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	1,918	3,323
ფული გზაში	145	57
შეზღუდული ფული*	2,379	2,676
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**5,852**	**7,116**

შეზღუდული ფული შედგება თანხებისგან რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტთან, რომელიც გაშიფრულია მე-13 შენიშვნასი.

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-20 შენიშვნაში.

13. ფინანსური ინსტრმენტები რეალური ღიებულების მოგება ზარალში აღრიცხვით

ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტებს. ფორვარდები არის ხელშეკრულება ორ მხარეს შორის, მომავალ პერიოდში, განსაზღვრული ვალუტებში ნომინირებული თანხების გაცვლის შესახებ.

უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტის ფარგლებში ორგანიზაცია იხდის კონტრაქტით განსაზღვრულ თანხას ერთ ვალუტაში და იღებს, ასევე კონტრაქტით განსაზღვრულ თანხას სხვა ვალუტაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუდისკონტირებელი ფორვარდული კონტრაქტების საკონტრაქტო ღირებულება, რომლებსაც ოთხ თვემდე საკონტრაქტო ვადა დარჩათ, შეადგენს 23,822 ათას ლარს და 22,962 ათას ლარს შესაბამისად. აღნიშნული კონტრაქტებიდან წამოშობილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი აღაირდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში რეალური ღირებულების მოგებაში ან ზარალში ასახვით აღრიცხული ფინანური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების მუხლში.

14. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მთლიანი გაცემული სესხები	39,731	31,841
დარიცხული პროცენტი	674	442
გამოკლებული: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(1,595)	(551)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**38,810**	**31,732**
სესხები სექტორების მიხედვით:		
სოფლის მეურნეობა	20,435	15,614
ვაჭრობა და სხვა მომსახურება	18,492	15,383
წარმოება	1,478	1,286
მთლიანად გაცემული სესხები	**40,405**	**32,283**
გამოკლებული: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(1,595)	(551)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**38,810**	**31,732**

სესხები მომხმარებელზე გაცემულია შემდეგი ეკონომიური სექტორების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018		
ხელშეკრულების მიხედვით გაცემული სესხები	**სესხები გაუფასურებამდე**	**მოსალოდნელი ხარალი**	**სესხები გაუფასურების შემდეგ**
სოფლის მეურნეობა	20,435	(807)	19,628
ვაჭრობა	18,492	(746)	17,746
წარმოება	1,478	(42)	1,436
სულ	**40,405**	**(1,595)**	**38,810**

14. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

	31 დეკემბრი 2017		
ხელშეკრულების მიხედვით გაცემული სესხები	სესხები გაუფასურებამდე	საკრედიტო ხარალი	სესხები გაუფასურების შემდეგ
სოფლის მეურნეობა	15,614	(280)	15,334
ვაჭრობა	15,383	(250)	15,133
წარმოება	1,286	(21)	1,265
სულ	**32,283**	**(551)**	**31,732**

2018და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინდივიდუალური სესხების ბალანსი არ აღემატება მთლიანი პორტფელის 1%-ს.

	31 დეკემბერი 2018		
გაცემული სესხები უზრუნველყოფილია:	სესხები გაუფასურებამდე	მოსალოდნელი ხარალი	სესხები გაუფასურების შემდეგ
უძრავი ქონებით	4,628	(212)	4,416
მოძრავი ქონებით, მათ შორის სატრანსორტო საშუალებებით	449	(51)	398
მესამე მხარის პირადი გარანტიები	30,135	(912)	29,223
უზრუნველყოფის გარეშე	5,193	(420)	4,773
სულ	**40,405**	**(1,595)**	**38,810**

	31 დეკემბერი 2017		
გაცემული სესხები უზრუნველყოფილია:	სესხები გაუფასურებამდე	საკრედიტო ზარალი	სესხები გაუფასურების შემდეგ
უძრავი ქონებით	3,861	(50)	3,811
მოძრავი ქონებით, მათ შორის სატრანსორტო საშუალებებით	2,313	(105)	2,208
მესამე მხარის პირადი გარანტიები	22,230	(325)	21,905
უზრუნველყოფის გარეშე	3,879	(71)	3,808
სულ	**32,283**	**(551)**	**31,732**

ორგანიზაციის სესხები უზრუნველყოფილია იპოთეკით, სატრანსპორტო საშუალებით და პირადი გარანტიით. მოთხოვნები უზრუნველყოფაზე დადგენილია loan-to-value კოეფიციენტით. მაქიმალური კოეფიცინეტი LTV არის 85%.

14. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

წლის ბოლოს, 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2018				2017
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურების გარეშე	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში ბასს 39-ის მიხედვით	-	-	-	551	625
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილებები	-	-	-	240	
ნაშთი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	227	55	509	791	
ახალი სესხები	314	122	252	688	
გადასვლა პირველ ეტაპზე	3	-	(3)	-	
გადასვლა მეორე ეტაპზე	(4)	4	-	-	
გადასვლა მესამე ეტაპზე	(11)	(5)	16	-	
გადახდილი სესხები	(127)	(7)	(294)	(428)	
ჩამოწერა	(699)	(103)	(254)	(1,056)	(685)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	89	89	622
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	743	235	533	1,511	(11)
ნაშთი წლის ბოლოს	**446**	**301**	**848**	**1,595**	**551**

14. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

წლის ბოლოს, 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2018			
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურების გარეშე	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	**31,953**	**144**	**186**	**32,283**
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილებები	**-**	**-**	**505**	**505**
ახალი სესხები	28,648	285	299	29,232
გადასვლა პირველ ეტაპზე	3	-	(3)	-
გადასვლა მეორე ეტაპზე	(724)	724	-	-
გადასვლა მესამე ეტაპზე	(707)	(8)	715	-
გადახდილი სესხები	(19,713)	(257)	(341)	(20,311)
ჩამოწერა	(960)	(120)	(456)	(1,536)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	141	141
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	22	22	47	91
ნაშთი წლის ბოლოს	**38,522**	**790**	**1,093**	**40,405**

გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	31 დეკემბერი 2018		
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	**სესხები გაუფასურებამდე**	**მოსალოდნელი ხარალი**	**სესხები გაუფასურების შემდეგ**
მიმდინარე და არაგაუფასურებული	37,397	(322)	37,075
1–30 დღის დაგვიანება	641	(115)	526
30–60 დღის დაგვიანება	371	(126)	245
60–90 დღის დაგვიანება	384	(165)	219
90–180 დღის დაგვიანება	872	(694)	178
180 დღეზე მეტი დაგვიანება	235	(161)	74
რესტრუქტურიზებული	505	(12)	493
სულ	**40,405**	**(1,595)**	**38,810**

14. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

		31 დეკემბერი 2017	
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	სესხები გაუფასურებამდე	საკრედიტო ზარალი	სესხები გაუფასურების შემდეგ
მიმდინარე და არაგაუფასურებული	31,652	(321)	31,331
1–30 დღის დაგვიანება	157	(16)	141
30–60 დღის დაგვიანება	82	(16)	66
60–90 დღის დაგვიანება	78	(33)	45
90–180 დღის დაგვიანება	227	(150)	77
180 დღეზე მეტი დაგვიანება	2	(2)	-
რესტრუქტურიზებული	85	(13)	72
სულ	**32,283**	**(551)**	**31,732**

15. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საგადასახადო აქტივი	80	5
დასაკუთრებული ქონება*	59	24
ავანსები	33	69
სულ სხვა აქტივები	**172**	**98**

*დასაკუთრებული ქონება რეალური ღირებულებით აღიარდება ქონების დასაკუთრების მომენტში, მსესხებლის სესხის სანაცვლოს. ორგანიზაცია ხელსაყრელი პრობების მიღებისთანავე ასხვისებს აღნიშნულ ქონებას.

16. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა–ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და აღჭურვილობა	ძირითადი საშუალებები სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**118**	**1,107**	**1,673**	**72**	**708**	**666**	**4,344**
შემოსვლა	-	-	347	155	259	74	835
გასვლა	-	-	(55)	-	(35)	(24)	(114)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**118**	**1,107**	**1,965**	**227**	**932**	**716**	**5,065**
შემოსვლა	-	-	186	-	148	67	401
გასვლა	-	-	(82)	-	(18)	(12)	(112)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**118**	**1,107**	**2,069**	**227**	**1,062**	**771**	**5,354**
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია							
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(196)**	**(336)**	**(64)**	**(632)**	**(605)**	**(1,833)**
წლის ცვეთა და ამორტიზაცია	-	(153)	-	(26)	(88)	(55)	(322)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	14	-	-	34	24	72
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(335)**	**(336)**	**(90)**	**(686)**	**(636)**	**(2,083)**
წლის ცვეთა და ამორტიზაცია	-	(30)	(138)	(31)	(138)	(50)	(387)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	37	-	18	12	67
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(365)**	**(437)**	**(121)**	**(806)**	**(674)**	**(2,403)**
ნეტო საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**118**	**772**	**1,629**	**137**	**246**	**80**	**2,982**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**118**	**742**	**1,632**	**106**	**256**	**97**	**2,951**

17. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიღებული სესხები	35,122	29,839
დარიცხული პროცენტი	432	335
სულ მიღებული სესხები	**35,554**	**30,174**

მიღებული სესხები მიმდინარე და გრძელვადიანი ნაწილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე ვალდებულებები:		
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	21,903	11,022
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	13,651	19,152
სულ მიღებული სესხები	**35,554**	**30,174**

სესხები მიღებულია მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. სესხები არაუზრუნველყოფილია.

საპროცენტო განაკვეთი დოლარში აღბული სესხებისთვის იყო 5%-დან 7,3%-მდე და 3.5%-დან 7.3%-მდე 2018 და 2017 წლებში, შესაბამისად. საპროცენტო განაკვეთი ლარში აღებული სესხისთვის იყო 12.5%. კრედიტორების მიერ დაწესებული კოვენანტების შესახებ იხილეთ ინფორმაცია მე-21 შენიშვნაში.

მიღებული სესხების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით ანალიზი გაშიფრულია მე-20 შენიშვნაში.

სესხებში მონეტარული და არამონეტარული მოძრაობა შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად:

	2018	2017
2018 წლის 1 იანვარს	**30,174**	**17,873**
ფულადი ნაკადები	(254)	9,136
სხვა მოძრაობა:	5,634	3,165
პერიოდში დარიცხული პროეცენტი	4,415	2,921
საკურსო სხვაობის კურსის ეფექტი	1,219	244
2018 წლის 31 დეკემბერს	**35,554**	**30,174**

18. საწესდებო კაპიტალი

	31 დეკემბერი 2018			31 დეკემბერი 2017		
აქციონერები	აქციების წილი %	აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება	აქციების წილი %	აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება
შენგელია ბესიკ	30.7%	57,500	1,150	30.7%	57,500	1,150
დოლიძე ვახტანგ	20.0%	37,500	750	20.0%	37,500	750
ცხადაია ელისო	9.3%	17,500	350	9.3%	17,500	350
ძნელაძე ვასილ	5.3%	10,000	200	5.3%	10,000	200
პეტრა დინა ტაამსი	5.3%	10,000	200	5.3%	10,000	200
სხვა აქციონერები *	17.5%	32,750	655	17.5%	32,750	655
სს ლაზიკა კაპიტალი (სახაზინო აქციები)	11.9%	22,250	445	11.9%	22,250	445
სულ გამოშვებული აქციები	**100.0%**	**187,500**	**3,750**	**100.0%**	**187,500**	**3,750**

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
გამოშვებული აქციები ნომინალური ღირებულებით 20 ლარი თითოეული	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება
ჩვეულებრივი აქციები, რომლებსაც ფლობენ ყველა აქციონერები	187,500	3,750	187,500	3,750
მინუს: სახაზინო აქციები	(22,250)	(445)	(22,250)	(445)
სულ საწესდებო კაპიტალის რაოდენობა და ღირებულება	**165,250**	**3,305**	**165,250**	**3,305**

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

სასამართლო პროცესები ორგანიზაციის კლიენტების მიმართ, რომლებიც ვერ ახერხებენ სესხების დაფარვას

ორგანიზაციის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს). გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ორგანიზაცია ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სასამართლო პროცესები ორგანიზაციის აქციონერებთან

ორგანიზაციამ უჩივლა ერთ აქციონერს, რომელიც ადრე ორგანიზაციის თანამშრომელი იყო. სასმართლო დავა ეხება სესხების თაღლითური გზით გაცემას 2008 წლის განმავლობაში. სულ მოთხოვნილი თანხა შეადგენს 800,000 ლარს, თუმცა სასამართლოს შედეგზე საიმედო შეფასების გაკეთება შეუძლებელია. მენეჯმენტი აღნიშნულ თანხას მიიჩნევს როგორც პირობითი აქტივს. სასამართლო განხილვის შედეგად, სასამართლომ კონფისკაცია გაუკეთა აქციონერის ქონებას.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კოვენანტებთან შესაბამისობა

ორგანიზაციას ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამიობის ვალდებულება აქვს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან.

ორგანიზაციამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით დაარღვია 3 ფინანსური კოეფიციენტი, აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაციას კომუნიკაცია ქონდა ინვესტორებთან. ინვესტორები ადასტურებენ, რომ არ დააჯარიმებენ ორგანიზაციას და მიცემენ დროს სესხის ფინანსური კოეფიციენტების დასაკმაყოფილებლად (ფინანსური კოეფიციენტი პირობების სანახავად იხილეთ 21-ე შენიშვნა).

საოპერაციო იჯარით წარმოქმნილი ვალდებულებები

კომპანიის საოპერაციო იჯარით ნაქირავები აქვს ოფისები. როგორც წესი, იჯარა გრძელდება 7 წლის ვადით, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია ხელშეკრულების განახლება. შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელია შემდეგ ვადაში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ერთ წლამდე	313	235
1-დან 5 წლამდე	901	706
5 წელზე მეტი	105	185
მომავალი საიჯარო გადასახდელები	**1,319**	**1,126**

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდებისთვის საოპერაციო იჯარის ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული იქნა 200 ათასი და 159 ათასი ლარის ოდენობით.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოვებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკრო საფინანსო ორგანიზაციის (MFO) რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაციას საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	12	5,693	6,934
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	-	229
გაცემული სესხები	14	38,810	31,732
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა		**44,503**	**38,895**

ორგანიზაციის საკრედიტო რისკი გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

საკრედიტო რისკების კატეგორიები

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობისა და მსესხებლის ტიპიდან გამომდინარე. ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. სესხის გაცემა განისაზღვრება წინასწარ შემუშავებული საკრედიტო ქულაზე დაყრდნობით, რაც შემდგომ აისახება სესხისთვის მისანიჭებელ კატეგორიაზე.

A > 295 ქულა

B >= 260-295 ქულა

C < 260 ქულა

C1 არ არის გათვალისწინებული (აგრო ბარათების და სეზონური სესხების შემთხვევაში, რადგან არ არის დამოკიდებული რეიტინგზე)

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

C3 > 1-30 დღიანი ვადაგადაცილება

D > 31-60 დღიანი ვადაგადაცილება

D1 > 61-90 დღიანი ვადაგადაცილება

D2 > 91-120 დღიანი ვადაგადაცილება

D3 > 121-180 დღიანი ვადაგადაცილება

E > 181 დღიანი ვადაგადაცილება

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული სესხების კატეგორიები:

R1 მიმდინარე რესტრუქტურიზაცია და რესტრუქტურიზირებულია 1-90 დღიანი ვადა გადაცილების გამო

R2 რესტრუქტურიზაცია >90 დღეზე მეტი ვადა გადაცილებისთვის

დეფოლტის კატეგორიები:

დეფოლტის კლასები წარმოდგენილია D2, D3, E, R2 კატეგორიებში.

დაკვირვების ქვეშ არსებული სესხები:

C2 კატეგორია წარმოდგენილია სესხებით, რომლებსაც მიენიჭათ D და D1 კატეგორია ბოლო დავალიანების გამო, მაგრამ არ არის იმ მომენტისთვის ვადაგადაცილებაში, R1 (იხილეთ ქვემოთ წესები) და სესხები, რომლებიც გადავიდა C2 კატეგორიაში რისკების დეპარტამენტის მიერ, ქვემოთ მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით (ამ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული ქულებზე).

კატეგორიის ცვლილებები

ნებისმიერი C3 კატეგორიის სესხი, რომელიც აღარ არის ვადაგადაცილებული, გადადის A, B, C და C1 კატეგორიებში. თუ სესხები, რომლებიც იყო D და D1 კატეგორიაში მაგრამ მიმდინარე მომენტისთვის არ არის ვადაგადაცილებაში, გადადის C2 კატეგორიაში. ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდება სესხის დაბრუნება შესაბამის კატეგორიაში.

D2, D3, E და R2 სესხები მუდმივად რჩება მოცემულ კლასში, სესხის სრულად დაფარვამდე.

პარალელური სესხების შემთხვევაში:

- თუ კლიენტს აქვს ერთი ვადაგადაცილებული სესხი, მომხმარებლის ყველა სესხი, იქნება გადასული აღნიშნულ კატეგორიაში, არსებული სესხებისგან ყველაზე დიდი ECL- ის მაჩვენებლით.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს ერთი რესტრუქტურიზებული სესხი, მისი ყველა დანარჩენი სესხი გადადის რესტრუქტურიზებული სესხების კატეგორიაში, რესტრუქტურიზებულ სესხს ენიჭება უპირატესობა ვადაგადაცილებულთან შედარებით. აქედან გამომდინარე, თუ მომხმარებელს აქვს 1 რესტრუქტურიზებული სესხი და 1 - ვადაგადაცილებული, ორივე მათგანი გადავა რესტრუქტურიზებული სესხების კატეგორიაში.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს პარალელური სესხები, და მათგან არც ერთი არ არის
- ვადაგადაცილებული, რესტრუქტურიზებული ან არ არის შესული C1, C2 კატეგორიებში, ყველა მათგანს მიენიჭება კატეგორია, რომელიც მას მიენიჭა ბოლო სესხის გაცემის დროს. მაგალითად, თუ მომხმარებელს ქონდა 1 სესხი A კატეგორიაში, რომელიც მან მიიღო 2015 წელს და შემდეგი სესხი აიღო 2018 წელს, რომელსაც მიენიჭა B კატეგორია, ორივე სესხი გაერთიანდება B კატეგორიაში, რადგან ეს არის ბოლოს გაცემული სესხის კატეგორია.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს პარალელური სესხები, რომელთაგან არც ერთზე არ ფიქსირდებოდა ვადაგადაცილება ან რესტრუქტურიზაცია და იმავდროულად ერთ-ერთი მათგანი არის C1 კატეგორიაში, C1 კატეგორიის სესხსაც მიენიჭება ის კატეგორია, რომელიც მიენიჭა მომხმარებლის მიერ ბოლოს აღებულ სესხს (გარდა ამ სესხისა).
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სარგებლობს პარალელური სესხებით, და მათგან არც ერთი არ არის ვადაგადაცილებული ან რესტრუქტურიზებული და ერთ-ერთ მათგანს მიენიჭა C2 კატეგორია, მომხმარებლის ყველა სესხი გადავა C2 კატეგორიაში.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ A, B, C და C1 კატეგორიის სესხებში შეიმჩნევა რისკის ზრდა, აღნიშნული სესხები შესაძლოა იქნეს გადატანილი C2 კატეგორიაში შემდეგ ჯგუფებად:

- საკრედიტო ოფიცრის მიხედვით;
- ფილიალის;
- მდებარეობის (ქალაქი; რეგიონი);
- ქვე-სექტორის (პირუტყვი, სათბურები, შიდა ტრანსპორტი და ა.შ.);
- ნებისმიერი სპეციფიური სესხის;
- ნებისმიერი სპეციფიური მომხმარებელის მიხედვით.

კომპანიის რისკების დეპარტამენტის მიერ ხდება რეკომენდაციების გაწევა C2 კატეგორიაში სესხების გადატანის თაობაზე, რაც ემყარება შესაბამის ანალიზს. აღნიშნული ცვლილება უნდა იქნეს დადასტურებული აღმასრულებელი საბჭოს მიერ. რეკომენდაციის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი გარემოებები:

- მოსალოდნელი დაბალი შემოსავალი ან დაბალი ფასები გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე;
- მოსალოდნელი ფინანსური რყევები და არასტაბილურობა ზოგ საფინანსო სექტორში;
- მოსალოდნელი მაღალი რისკი კონკრეტულ ფილიალში, სადაც შიდა თაღლითური შემთხვევები იქნა გამოვლენილი.

კატეგორიის ცვლილება, ასევე, ხდება სესხის რეფინანსირების დროს; ახალი სესხის გაცემისას რეიტინგის კალკულაცია ხდება განახლებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

A, B, C და C1 კატეგორიის სესხები, რომლებიც იქნა გადატანილი C2 კატეგორიაში, უბრუნდება თავის კატეგორიას იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ნახსენები რისკ ფაქტორები აღარ არსებობს.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მომხმარებლის სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას კლიენტთა სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სასოფლო-სამეირნეო სესხები:	ეტაპი	სულ სესხები	1 ეტაპი (12 თვიანი მოსალოდნელი ზარალი)	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის ECL - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის ECL - საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი ზარალი %*
A	1 ეტაპი	4,340	(33)	-	-	(33)	4,307	0.75%
B	1 ეტაპი	8,188	(65)	-	-	(65)	8,123	0.79%
C	1 ეტაპი	6,400	(50)	-	-	(50)	6,350	0.78%
C1	1 ეტაპი	16	-	-	-	-	16	1.42%
C2	1 ეტაპი	40	-	-	-	-	40	0.74%
C3	1 ეტაპი	304	(61)	-	-	(61)	243	20.04%
D	2 ეტაპი	280	-	(101)	-	(101)	179	36.09%
D1	2 ეტაპი	169	-	(82)	-	(82)	87	48.59%
D2	3 ეტაპი	221	-	-	(187)	(187)	34	84.64%
D3	3 ეტაპი	221	-	-	(190)	(190)	31	86.24%
E	3 ეტაპი	46	-	-	(37)	(37)	9	79.61%
R1	1 ეტაპი	210	(1)	-	-	(1)	209	0.70%
R2	3 ეტაპი	-	-	-	-	-	-	-
სასოფლო-სამეურნეო სესხები, სულ		**20,435**	**(210)**	**(183)**	**(414)**	**(807)**	**19,628**	**3.95%**

* მოსალოდნელი ზარალი%- არ არის დამგრვალებული

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სასოფლო-სამეირნეო სესხები:	ეტაპი	სულ სესხები	1 ეტაპი (12 თვიანი მოსალოდნელი ზარალი)	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის ECL - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის ECL - საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი ზარალი %*
A	1 ეტაპი	4,081	(41)	-	-	(41)	4,040	1.00%
B	1 ეტაპი	7,000	(71)	-	-	(71)	6,929	1.01%
C	1 ეტაპი	5,846	(60)	-	-	(60)	5,786	1.02%
C1	1 ეტაპი	23	-	-	-	-	23	0.80%
C2	1 ეტაპი	62	(1)	-	-	(1)	61	1.28%
C3	1 ეტაპი	323	(54)	-	-	(54)	269	16.68%
D	2 ეტაპი	166	-	(54)	-	(54)	112	32.56%
D1	2 ეტაპი	170	-	(63)	-	(63)	107	36.94%
D2	3 ეტაპი	200	-	-	(148)	(148)	52	74.95%
D3	3 ეტაპი	201	-	-	(150)	(150)	51	75.10%
E	3 ეტაპი	148	-	-	(95)	(95)	53	63.87%
R1	1 ეტაპი	272	(9)	-	-	(9)	263	3.30%
R2	3 ეტაპი	-	-	-	-	-	-	0.00%
სულ მომსახურების და სავაჭრო სესხები		**18,492**	**(236)**	**(117)**	**(393)**	**(746)**	**17,746**	**4.04%**

* მოსალოდნელი ზარალი%- არ არის დამგრვალებული

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სასოფლო-სამეირნეო სესხები:	ეტაპი	სულ სესხები	1 ეტაპი (12 თვიანი მოსალოდნელი ზარალი)	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის ECL - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის ECL - საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი ზარალი %*
A	1 ეტაპი	371	-	-	-	-	371	0.06%
B	1 ეტაპი	426	-	-	-	-	426	0.07%
C	1 ეტაპი	599	-	-	-	-	599	0.06%
C1	1 ეტაპი	-	-	-	-	-	-	0.00%
C2	1 ეტაპი	3	-	-	-	-	3	0.06%
C3	1 ეტაპი	15	-	-	-	-	15	1.49%
D	2 ეტაპი	4	-	(1)	-	(1)	3	13.47%
D1	2 ეტაპი	1	-	-	-	-	1	15.80%
D2	3 ეტაპი	4	-	-	(3)	(3)	1	69.60%
D3	3 ეტაპი	11	-	-	(8)	(8)	3	69.43%
E	3 ეტაპი	41	-	-	(30)	(30)	11	73.12%
R1	1 ეტაპი	3	-	-	-	-	3	0.00%
R2	3 ეტაპი	-	-	-	-	-	-	-
სულ წარმოების სესხები		**1,478**	**-**	**(1)**	**(41)**	**(42)**	**1,436**	**2.84%**

* მოსალოდნელი ზარალი%- არ არის დამგრვალებული

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას კლიენტთა სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სასოფლო-სამეირნეო სესხები:	სულ სესხები	სულ საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	საკრედიტო ზარალი%*
ანალიზი სექტორის მიხედვით:				
A	2,877	(29)	2,848	1.02%
B	6,162	(62)	6,100	1.02%
C	6,229	(64)	6,165	1.02%
C1	-	-	-	0.00%
C2	15	-	15	1.01%
C3	98	(10)	88	9.86%
D	37	(9)	28	23.87%
D1	38	(18)	20	46.80%
D2	39	(28)	11	70.04%
D3	81	(54)	27	66.75%
E	-	-	-	0.00%
R1	38	(6)	32	15.64%
R2	-	-	-	0.00%
სულ სასოფლო-სამეირნეო სესხები:	**15,614**	**(280)**	**15,334**	**1.79%**

* საკრედიტო ზარალი%- არ არის დამგრვალებული

მომსახურების და სავაჭრო სესხები	სულ სესხები	სულ საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	საკრედიტო ზარალი%*
A	2,864	(29)	2,835	1.02%
B	5,381	(55)	5,326	1.02%
C	6,826	(68)	6,758	1.01%
C1	-	-	-	0.00%
C2	26	-	26	1.01%
C3	89	(9)	80	10.66%
D	33	(8)	25	23.91%
D1	35	(17)	18	47.63%
D2	19	(13)	6	68.12%
D3	65	(45)	20	68.34%
E	-	-	-	0.00%
R1	45	(6)	39	13.75%
R2	-	-	-	0.00%
სულ მომსახურების და სავაჭრო სესხები	**15,383**	**(250)**	**15,133**	**1.63%**

* საკრედიტო ზარალი%- არ არის დამგრვალებული

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

წარმოების სესხები	სულ სესხები	სულ საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	საკრედიტო ზარალი%*
A	148	(2)	146	1.02%
B	476	(5)	471	1.02%
C	638	(6)	632	1.01%
C1	-	-	-	0.00%
C2	7	-	7	1.01%
C3	1	-	1	9.57%
D	-	-	-	24.29%
D1	12	(5)	7	46.49%
D2	-	-	-	0.00%
D3	4	(3)	1	65.29%
E	-	-	-	0.00%
R1	-	-	-	0.00%
R2	-	-	-	0.00%
Total manufacturing loans	**1,286**	**(21)**	**1,265**	**1.63%**

* საკრედიტო ზარალი%- არ არის დამგრვალებული

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიკურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხლმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	3,341	20,687	14,506	-	-	**38,534**
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	**3,341**	**20,687**	**14,506**	**-**	**-**	**38,534**
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	569	-	-	-	-	**569**
სხვა ვალდებულებები	91	-	-	-	-	**91**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,001**	**20,687**	**14,506**	**-**	**-**	**39,194**
მომავალი საოჯარო გადასახდელები	**78**	**234**	**515**	**386**	**106**	**1,319**

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	2,485	10,205	20,453	-	-	**33,143**
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	**2,485**	**10,205**	**20,453**	**-**	**-**	**33,143**
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	447	-	-	-	-	**447**
სხვა ვალდებულებები	92	-	-	-	-	**92**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,024**	**10,205**	**20,453**	**-**	**-**	**33,682**
მომავალი საოჯარო გადასახდელები	**65**	**170**	**393**	**313**	**185**	**1,126**

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,411	4,410	31
გაცემული სესხები	38,796	14	-
სულ ფინანსური აქტივები	**40,207**	**4,424**	**31**
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7,338	28,216	-
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	569	-
სხვა ვალდებულებები	91	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**7,429**	**28,785**	**-**
ღია საბალანსო პოზიცია	**32,778**	**(24,361)**	**31**

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	998	6,079	39
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	229	-
გაცემული სესხები	31,719	13	-
სულ ფინანსური აქტივები	**32,717**	**6,321**	**39**
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	1,104	29,070	-
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	447	-
სხვა ვალდებულებები	92	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,196**	**29,517**	**-**
ღია საბალანსო პოზიცია	**31,521**	**(23,196)**	**39**

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / აშშ დოლარი)		(ლარი / ევრო)	
მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე გარდა ფორვარდული კონტრაქტების ეფექტისა:	**2018**	**2017**	**2018**	**2017**
20% ზრდა	(4,758)	(4,596)	6	8
20% შემცირება	4,758	4,596	(6)	(8)
სავალუტო ფორვარდული კონტრაქტების ეფექტი:				
20% ზრდა	4,764	4,592	-	-
20% შემცირება	(4,764)	(4,592)	-	-
აკუმულირებული ეფექტი:				
20% ზრდა	6	(4)	6	8
20% შემცირება	(6)	4	(6)	(8)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის გონივრული ზრდა ან შემცირება არ ახდენს მნიშვნელოვან პოტენციურ გავლენას ორგანიზაციის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე ან საწესდებო კაპიტალზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულები წლისთვის.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა ორგანიზაციაზე. იგი წარმოაჩენს ორგანიზაციის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.

	2018	**2017**
სულ პროცენტის მატარებელი ფინანური აქტივები	41,979	35,933
სულ პროცენტის მატარებელი ფინანური ვალდებულებები	(35,554)	(30,174)
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის წმინდა გეპი	**6,425**	**5,759**

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში მოცემულ ინფორმაციაში.

ორგანიზაცია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზს.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, გარდა ერთი მიღებული სესხისა, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე. ერთადერთი მიღებული სესხი, რომელიც ხასიათდება ცვლადი საპროცენტო განაკვეთით (ლიბორ +2%) არის მიღებული მსოფლიო ბანკისგან.

	საპროცენტო ხარჯების მგრძნობელობა	
საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მგრძნობელობა	2018	2017
1% ზრდა	(3)	(9)
1% შემცირება	3	9

21. კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ორგანიზაციის პოლიტიკის შესაბამისად დივიდენდების გაცემა ხსწლა მხოლოდ იმწელს, როდესაც სრული შემოსავალი აჭარბებს 1,050 ათას ლარს. აღნიშნულ შემთხვევაში 1,050 ათას ლარზე ნამეტი შეიძლება გაიცეს დივიდენდად, ასევე პერიდში გაცემულმა დიდივენდის მოცულობამ, არ უნდა გადააჭარბოს პერიოდის სრული შემოსავლის 30%-ს.

კომპანიას მიღებული სესხების ფარგლებში ინვესტოებთან აღებული აქვს ვალდებულება ქვემოთ მოცემული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებაზე.

21. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კრედიტორების მიერ დაწესებული კოვენანტები	2018	2017
(LLR/PAR (90) +რესტრუქტურიზებული სესხები)	≥100%	≥100%
(Par (30) + გადავადებული სესხები)/კაპიტალი	<=15%	<=15%
გადახდისუნარიანობა (კაპიტალი/აქტივები)	>20%	>10%
AROA LTM	>0%	>0%
კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	>15%	>15%
მთლიანი სესხები/კაპიტალის კოეფიციენტი	100%<x<500%	100%<x<400%
სხვისი სესხების უზრუნველყოფის კოეფიციენტი	<15%	<15%
საოპერაციო თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი	≥100%	≥100%
PAR (30) + გადავადებული სესხები	<5%	<=5%
PAR (30) + გადავადებული სესხები + ჩამოწერილი სესხების კომბინირებული კოეფიციენტი	<8%	<8%
უზრუნველყოფილი სასესხო პორტფელი	<50%	<50%
რისკის დაფარვის კოეფიციენტი	>100%	>100%
აქტივებზე უკუგება	>0%	>0%
კაპიტალის უკუგება	>0%	>0%
დაუფარავი კაპიტალის კოეფიციენტი	<25%	<25%
ჩამოწერილი სესხების კოეფიციენტი	<4%	<4%
FX ღია პოზიცია	=-25% < FX ღია პოზიცია < 10%	=-50% < FX ღია პოზიცია < 10%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებდა შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტებს:

ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ფინანსურ კოეფიციენტებს	მოთხოვილი	რეალური
(LLR/PAR (90) +რესტრუქტურიზებული სესხები)	≥100%	99%
რისკის დაფარვის კოეფიციენტი	>100%	66%
PAR (30) + გადავადებული სესხები + ჩამოწერილი სესხების კომბინირებული კოეფიციენტი	<8%	9%

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე", წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(616)	(253)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(599)	(265)	(10)

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგულაციები შედის ძალაში. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მისოს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი"

ფინანსურიანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშოწლისათვის, რომელიცდასრულდა

2018წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელიაუდიტორისდასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსურიმდგომარეობისანგარიშგება 6
სრულიშემოსავლისანგარიშგება 7
ანგარიშგებაკაპიტალშიცვლილებებისშესახებ 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა

1. ზოგადიინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანისააღრიცხვოპოლიტიკისმიმოხილვა 12
4. მნიშვნელოვანისააღრიცხვოშეფასებებიდაგადაწყვეტილებები 22
5. სააღრიცხვოპოლიტიკისცვლილებისეფექტი 24
6. წინაპერიოდისრეკლასიფიკაციები 25
7. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 26
8. სხვა შემოსავლები 26
9. ხელფასებიდათანამშრომელთასხვასარგებელი 26
10. საერთოდაადმინისტრაციულიხარჯები 26
11. მოგებისგადასახადი 27
12. ფული და ფულის ექვივალენტები 27
13. ფინანსურიინსტრმენტებირეალურიღიებულებისმოგებაზარალშიაღრიცხვით 28
14. კლიენტებზე გაცემულისესხები 28
15. სხვააქტივები 32
16. ძირითადისაშუალებები 34
17. მიღებულისესხები 35
18. საწესდებოკაპიტალი 36
19. პირობითივალდებულებები 36
20. ფინანსურიინსტრუმენტები - რისკებისმართვა 38
21. კაპიტალისმართვა 51
22. ოპერაციებიდაკავშირებულმხარეებთან 53
23. საანგარიშგებოპერიოდისშემდგომიმოვლენები 53

დამოუკიდებელიაუდიტორისდასკვნა

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალის" აქციონერებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **სს"მისო ლაზიკა კაპიტალის"** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც შედგება ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელნი ორგანიზაციისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი - ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაზე, რომელიც ასახავს რომ კომპანიამ დაარღვია ზოგიერთი ფინანსური კოეფიციენტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური რეპორტინგის პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

გვრი ჯიქანია

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

გვა ჯაფანია

ივანე ჟუჟუნაშვილი(სარეგისტრაციო ნომერი# SARAS-A-720718)

შპს„ბიდიოს“სახელით

თბილისი, საქართველო

15მაისი, 2019

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	7	11,721	8,343
საპროცენტო ხარჯი	7	(2,571)	(1,496)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**9,150**	**6,847**
გაუფასურების ხარჯი	14	(1,860)	11
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**7,290**	**6,858**
საკომისიო შემოსავალი		272	271
საკომისიო ხარჯი		(133)	(83)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**139**	**188**
სხვა შემოსავალი	8	312	372
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების ცვლილებიდან მოგება/(ზარალი), ნეტო	13	(654)	106
ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება	9	(3,717)	(3,327)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	10	(1,929)	(1,545)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,100)	(1,448)
მოგება დაბეგვრამდე		**341**	**1,204**
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(314)	(289)
მთლიანი სრული შემოსავალი		**27**	**915**

ხელმოწერილიამენეჯმენტისსახელით 2019წლის15 მაისს შემდეგიპირებისმიერ:

გენერალური დირექტორი _____ ბესიკ შენგელია

ფინანსური დირექტორი _____ ირაკლი ყურაშვილი

GEORGIA. NOTARY MAIA PUTKARADZE

10-53 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	5,852	7,116
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	-	229
კლიენტებზე გაცემული სესხები	14	38,810	31,732
სხვა აქტივები	15	172	98
ძირითადი საშუალებები	16	2,951	2,982
არამატერიალური აქტივები		176	120
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	114	-
სულაქტივები		**48,075**	**42,277**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	35,554	30,174
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	569	447
სხვა ვალდებულებები		91	92
მიმდინარე მოგების გადასახადი		156	184
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	-	6
სულვალდებულებები		**36,370**	**30,903**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	3,750	3,750
სახაზინო აქციები	18	(445)	(445)
საემისიო კაპიტალი		2,537	2,537
გაუნაწილებელი მოგება		5,863	5,532
მთლიანი კაპიტალი		**11,705**	**11,374**
ვალდებულებები და კაპიტალი		**48,075**	**42,277**

10-53 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი“

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სახაზინო აქციები	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს	3,750	(445)	2,537	4,617	10,459
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	915	915
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	3,750	(445)	2,537	5,532	11,374
სააღრიცხვოპოლიტიკის ცვლილება - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	304	304
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისმდგომარეობით (გადაანგარიშებული)	3,750	(445)	2,537	5,836	11,678
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	27	27
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	3,750	(445)	2,537	5,863	11,705

GEORGIA. NOTARY MAIA PUTKARADZE

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი“

ფულადისახსრებისმოძრაობისანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მიღებული პროცენტი	11,679	8,887
გადახდილი პროცენტი	(4,261)	(2,792)
მიღებული საკომისიო	165	183
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	385	395
სხვა გადასახადები	12	3
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება	(3,866)	(3,330)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,381)	(1,089)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში ცვლილებამდე	**2,734**	**2,257**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში		
წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(8,581)	(12,476)
წმინდაფულადისახსრებისაოპერაციოსაქმიანობიდანდაბრეგვამდე	**(5,847)**	**(10,219)**
მოგების გადასახადი	(542)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(6,389)**	**(10,219)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(387)	(858)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(387)	(858)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების გადახდა	(10,560)	(8,777)
სესხების მიღება	14,511	20,619
წმინდა ფულადისახსრებისაინვესტიციოსაქმიანობიდან	**3,951**	**11,842**
ფულადისახსრებისგადაფასებისეფექტი	1,561	1,510
წმინდაფულადისახსრებისზრდა/(შემცირება)	**(1,264)**	**2,275**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7,116	4,841
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**5,852**	**7,116**

NOTARY GEORGIA MAIA PUTKARADZE

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

1. ზოგადიინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

"მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი" დაარსდა 2007 წლის 26 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში "ორგანიზაცია"). ორგანიზაცია რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ ოფისში, საიდენტიფიკაციოკოდით 220411132.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") მიერ.

ორგანიზაციისუმაღლესიმმართველობითიორგანოააქციონერთასაერთოკრება. თითოეულიფილიალისყოველდღიურსაქმიანობისზედამხედველობასახორციელებსმმართველი, რომელსაცნიშნავსორგანიზაციისსამეთვალყურეოსაბჭო.კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭო, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაცია გასცემს მიკრო და მცირე სესხებს (100,000 ლარამდე) საქართველოში.

ორგანიზაციის სათაო ოფისი მდებარეობს: საქართველოში, ქ. ზუგდიდში, გამსახურდიას ქ. № 59.

ორგანიზაციას გააჩნია 18 და 17 სერვის ცენტრი დასავლეთ საქართველოში 2018 და 2017წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დეტალური ინფორმაცია აქციონერთა შესახებ გაშიფრულია დაბლა მე-18 შენიშვნაში. კომპანიას არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1 სექტემბერიდან, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს (ცვლილებამდე საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 100 პროცენტს).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგებისშესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებსქართულ ლარში, რომელიც ასევე ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.ანგარიშგებაში თანხები დამგვალებულია ათასებამდე, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ისმნიშვნელოვანისფეროები,
რომლებიცშეფასდაფინანსურიანგარიშგებისმომზადებისადამათიეფექტისშესახებ, მოცემულიამე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შეფასებისსაფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალურიღირებულებით, მოგებაშიანზარალშიასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსურიანგარიშგებამომზადებულიაორგანიზაციის საქმიანობისუწყვეტობისსაფუძველზეიმისდაშვებით,რომკომპანიაგანაგრძობსფუნქციონირებასპროგნოზირებადმომავალში.
ხელმძღვანელობასსჯერა,რომუწყვეტობისპრინციპისგამოყენებაშესაფერისიაორგანიზაციისთვის.

ცვლილებებისააღრიცხვოპოლიტიკაში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ორგანიზაცია გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში.

ორგანიზაციისშეფასებით ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ფასს 15-ის დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.ორგანიზაციამ ასევე შეაფასა ფასს 9-ის გავლენა სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ცვლილება მნიშვნელოვნად ცვლის კომპანიის სესხების გაუფასურების და ჩამოწერის პოლიტიკას (ცვლილების ეფექტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-3 და მე-5 განმარტებით შენიშვნებში.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა მომავალი საანგარიშგებო პერიოდებიდან და რომლებიც ორგანიზაციას არ დაუნერგავს ნაადრევად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარაჩაანაცვლებსარსებულიიჯარისაღრიცხვისშემდეგმეთოდურმითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განსაზღვროთშეიცავსთუარახელშეკრულებაიჯარას, SIC-15 საოპერაციოიჯარა - სტიმულირებადა SIC-27 გარიგებისშინაარსისშეფასება, რომელიცშეიცავსიჯარისსამართლებრივფორმას.
იგიაუქმებსმოიჯარეთათვისარსებულდღევანდელორმაგსააღრიცხვოპრინციპს, რომელიცგანასხვავებსბალანსზეაღრიცხულფინანსურიჯარასდაბალანსზეაღურიცხავსაოპერაციოიჯარასანაცვლოდ, რჩებაერთიბალანსზეაღრიცხვისმოდელი, რომელიცჰგავსდღევანდელიფინანსურიიჯარისაღრიცხვისპრინციპს.
იჯარისგამცემისაღრიცხვისპრინციპებიარსებულიპრაქტიკისშესაბამისირჩება

იჯარისგამცემიგანაგრძობსიჯარისკლასიფიკაციასფინანსურდასაოპერაციოიჯარებად.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს 16 მოქმედებსყოველწლიურისაანგარიშგებოპერიოდებისთვის, რომელიციწყება 2019 წლის 1 იანვარსანამთარიღისშემდეგ. კომპანიაარგეგმავსამსტანდარტისადრედანერგვას. კომპანიააფასებსმომავალშიფასს 16-ისგამოყენებისმოსალოდნელგავლენასფინანსურანგარიშგებაზე. ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანისააღრიცხვოპოლიტიკისმიმოხილვა

ფინანსურიინსტრუმენტები

ორგანიზაციამ მიიღო ბასსკ-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოშვებული ფასს 9, საწყისი აღიარების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი). ახალი სტანდარტი აისახა ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკასა და წინა პერიოდებში აღიარებული თანხების კორექტირებებში. ორგანიზაციას არ მიუღია ადრეულად ფასს 9-ით გათვალისწინებული რომელიმე ცვლილება.

ორგანიზაციამ აირჩია ფასს 9-ის გათავისუფლება, არ შეეცვალა შესადარისი პერიოდი, საწყისი აღიარებისას.

სტანდარტზე გადასვლის თარიღში განხორციელებული ნებისმიერი კორექტირება, რომელიც შეეხო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს, აღიარდა საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე და მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, განმარტებითი შენიშვნის მიზნებისათვის, ფასს 7-ის შესაბამისი შენიშვნები აისახა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე. ბასს 39-ით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც დაკავშირებულია 2017 წლის ფინანსურ წელთან, მოცემულია წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 9-ის მიღება აისახა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, ასევე ფინანსური აქტივების გაუფასურების სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებაში.

ფასს 9 მოიცავსფინანსური აქტივების კლასიფიკაციისსამმნიშვნელოვანკატეგორიას: ამორტიზირებულიღირებულებით, რეალურიღირებულებით, სხვასრულშემოსავალშიასახვით დარეალურიღირებულებით, მოგებაში ან ზარალშიასახვით. სტანდარტიაუქმებსბასს 39-ისშემდეგკატეგორიებს: დაფარვისვადამდეფლობილი, სესხებიდამოთხოვნებიდაგასაყიდადგამიზნული.

ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ფასს 9 ანაცვლებს „გაწეული ზარალის" მოდელს ბასს 39-ში,"მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.

- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის სახით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ისაკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ არის დანიშნული რეალური ღირებულებით ზარალში ასახულ აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს

ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველაფინანსურიაქტივი, რომელიცარარისკლასიფიცირებული, როგორცამორტიზირებულიღირებულებითშეფასებული, ანრეალურიღირებულებით შეფასებული,სხვასრულშემოსავალში ასახვით, ფასდებაროგორც რეალურიღირებულებითშეფასებული, მოგებაში ან ზარალშიასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით,

2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი".

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულიარეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივიარის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამუნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტიგანისაზღვრება, როგორცფულისდროითიღირებულებისადადარჩენილძირთანხასთანდაკავშირებულისაკრედიტორისკ ისანაზღაურებაკონკრეტულიპერიოდისგანმავლობაში. ის შეიძლებაასევეითვალისწინებდესესხისგაცემასთანდაკავშირებულისხვაძირითადირისკების (მაგალითად, ლიკვიდობისრისკი) დადანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულდანახარჯებს) კომპენსაციას, რაცდაკავშირებულიადროისგარკვეულპერიოდშიფინანსურიაქტივისშენარჩუნებასთან.ასევესაბაზისო სასესხოშეთანხმებისპირობებისშესაბამისმოგებისმარჟასაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმისშეფასებისას, წარმოადგენენთუარასახელშეკრულებოფულადინაკადებიმხოლოდძირითანხისადაპროცენტისგადახ დებს, ორგანიზაციააფასებსინსტრუმენტისსახელშეკრულებოპირობებს. ესწარმოადგენსიმისშეფასებას, მოიცავსთუარაფინანსურიაქტივისახელშეკრულებოპირობებს, რომლებიცშესაძლოაცვლიდესსახელშეკრულებოფულადინაკადებისვადებსანთანხებს, რომელიცარშეესაბამებაSPPI-ისპირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებთ, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი" (CL) ჩაანაცვლა მომავალზეორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

2018 წლის 1 იანვრიდან ორგანიზაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები აღიარა ყველა სადებეტო ინსტრუმენტისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

გაუფასურების ზარალისა და ანარიცხის განსაზღვრებამ გადაინაცვლა „გაწეული ზარალის" (CL) მოდელიდან, რომელიც ბასს 39-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავდა მას შემდეგ, რაც ზარალის გამომწვევი მოვლენა უკვე მომხდარი იყო, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" (ECL) მოდელზე, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის

მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი:ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი:ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი:თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

საპროცენტოშემოსავლისაღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

ა) 90დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
გ) ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდის უუნარო გარე ფაქტირების გამო, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით

გადაცილების შესახებ.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივიინფორმაციასაკრედიტორისკისმნიშვნელოვანიზრდისყველაზემნიშვნელოვანიმაჩვენებელიადაეფუძნებაარსებობისმანძილზედეფოლტისალბათობისცვლილებასშემდეგიორიმაჩვენებლისშედარებით:

- დარჩენილიარსებობისმანძილზედეფოლტისალბათობაანგარიშგებისდღეს; და
- დარჩენილიარსებობისმანძილზედეფოლტისალბათობამოცემულიდროისმონაკვეთში, რომლისშეფასებაცმოხდაიმფაქტებსადამოვლენებზედაყრდნობითრომელიცარსებობდააღიარებისმომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშნველოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.

- მონეტალური პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომადგამოსაყენებელიძირითადისაშუალებებიარისქვემოთმოყვანილიცვლილებებისსტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტისრისკისპოზიცია (EAD).

აღნიშნულიპარამეტრები, როგორცწესიშეფასებულიაშიდასტატისტიკურიმოდელებისდასხვაისტორიულიმონაცემთაბაზისგამოყენებით. ისინიშექმნილიასამომავლოპროგნოზისასახვისმიზნით, როგორცზემოთარისაღწერილი.ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლებიარისმაჩვენებლებიკონკრეტულითარიღისთვისდაგამოითვლებასტატისტიკურირეიტინგისმოდელებისმიხედვით.

იმშემთხვევაში, თუმსესხებელიანსესხიმიგრირდებარეიტინგებისკატეგორიებსშორის, აღნიშნულმაშესაძლოა, გამოიწვიოსცვლილებაშესაბამისი PD-სშეფასებისას. PD-სშეფასებახდებასაკონტრაქტოვადისშესაბამისადწინასწარიგადახდისკოეფიციენტისგათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელიდაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობასგაუფასურების ეტაპებს შორის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGDგამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში.

ფინანსური ვალდებულებები

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

ორგანიზაციამ თავისი ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიციროსშემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად". ორგანიზაციამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები".

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაციაფინანსურივალდებულებებისაღიარებასწყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაცვალდებულებასრულდება, უქმდება, ანგასდისვადა. სადაცარსებულიფინანსურივალდებულებაენაცვლებამეორესიმავემსესხებლისმიმართმნიშვნელოვნად განსხვავებულიპირობებით, ანარსებულივალდებულებისპირობებიმნიშვნელოვნადიცვლება, ამგვარიცვლილებაანმოდიფიკაციაითვლებათავდაპირველივალდებულებისაღიარებისშეწყვეტადდაა ხალივალდებულებისაღიარებად, ხოლო სხვაობასაბალანსოღირებულებასადაგადახდილანგადასახდელანაზღაურებასშორისაისახებამოგებასა დაზარალში.

გადახურვა

ფინანსურიაქტივებიდავალდებულებებიარისგადახურულიდანეტოთანხითააწარმოდგენილიფინანსუ რიმდგომარეობისანგარიშგებაშიმხოლოდმაშინ,როდესაცარსებობსკანონიერიუფლება, რომგადაიფაროს აღიარებული თანხებიდაორგანიზაციას აქვსგანზრახვაზემოთხსენებულლი თანხები წარადგინოს ნეტო თანხითანგაყიდოსაქტივიდადაიფაროსვალდებულებაერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს
13მოითხოვსგანმარტებითშენიშვნებსრეალურიღირებულებითშეფასებულიფინანსურიაქტივებისდავა ლდებულებებისთვისიმდაშვებებისშესახებ,
რაცგამოყენებულიქნარეალურიღირებულებისგანსაზღვრისას.
რეალურიღირებულებისიერარქიამოიცავსშემდეგდონეებს:

1. იდენტურიაქტივებისდავალდებულებებისკოტირებულიფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველდონეშიშემავალიკოტირებულიფასისგანგანსხვავებულისხვაინფორმაცია, რომელიცარისდაკვირვებადიპირდაპირანარაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიცარარისდაკვირვებადიაქტიურბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონის მიხედვით წარმოდგენილია მე-9 და მე-12 შენიშვნებში.

უცხოურივალუტითშესრულებულიოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.


სავალუტორისკიწარმოიშობაერთივალუტისმიმართმეორისფასისცვლილებით.სავალუტორისკიარანაკლებგავლენასახდენსორგანიზაციისფინანსურირისკებისგანსაზღვრაში.
ორგანიზაციაატარებსსავალუტორისკს,
რომელიცდაკავშირებულიამისფინანსურმდგომარეობასადაფულადნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსურიაქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
ფულიდაფულისეკვივალენტები	1,411	4,410	31
გაცემულისესხები	38,796	14	-
სულფინანსურიაქტივები	**40,207**	**4,424**	**31**
ფინანსურივალდებულებები			
მიღებულისესხები	7,338	28,216	-
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	569	-
სხვა ვალდებულებები	91	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**7,429**	**28,785**	**-**
ღია საბალანსო პოზიცია	**32,778**	**(24,361)**	**31**

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსურიაქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
ფულიდაფულისეკვივალენტები	998	6,079	39
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	229	-
გაცემულისესხები	31,719	13	-
სულფინანსურიაქტივები	**32,717**	**6,321**	**39**
ფინანსურივალდებულებები			
მიღებულისესხები	1,104	29,070	-
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	447	-
სხვა ვალდებულებები	92	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,196**	**29,517**	**-**

ღია საბალანსო პოზიცია	31,521	(23,196)	39

19. ფინანსურიინსტრუმენტები - რისკებისმართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურივალუტისდენომინირებულფულადსახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / აშშდოლარი)		(ლარი / ევრო)	
მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე გარდა ფორვარდული კონტრაქტების ეფექტისა:	2018	2017	2018	2017
20% ზრდა	(4,758)	(4,596)	6	8
20% შემცირება	4,758	4,596	(6)	(8)
სავალუტოფორვარდულიკონტრაქტებისეფექტი:				
20% ზრდა	4,764	4,592	-	-
20% შემცირება	(4,764)	(4,592)	-	-
აკუმულირებულიეფექტი:				
20% ზრდა	6	(4)	6	8
20% შემცირება	(6)	4	(6)	(8)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის გონივრული ზრდა ან შემცირება არ ახდენს მნიშვნელოვან პოტენციურ გავლენას ორგანიზაციის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე ან საწესდებო კაპიტალზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულები წლისთვის.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა ორგანიზაციაზე. იგი წარმოაჩენს ორგანიზაციის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს 2018და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.

	2018	2017
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	41,979	35,933
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(35,554)	(30,174)
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის წმინდა გეპი	6,425	5,759

19. ფინანსურიინსტრუმენტები - რისკებისმართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში მოცემულ ინფორმაციაში.

ორგანიზაცია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზს.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, გარდა ერთი მიღებული სესხისა, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე. ერთადერთი მიღებული სესხი, რომელიც ხასიათდება ცვლადი საპროცენტო განაკვეთით (ლიბორ +2%) არის მიღებული მსოფლიო ბანკისგან.

	საპროცენტო ხარჯების მგრძნობელობა	
საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მგრძნობელობა	2018	2017
1% ზრდა	(3)	(9)
1% შემცირება	3	9

21. კაპიტალისმართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივებისრისკიანობისშესაბამისად.

იმისათვის, რომშეინარჩუნოსანდააკორექტიროსკაპიტალისსტრუქტურა, ორგანიზაციამშეიძლებადააკორექტიროსმფლობელებისათვისგადახდილიდივიდენდები, დაუბრუნოსკაპიტალიმფლობელებს, გამოუშვასახალიაქციებიანგაყიდოსაქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ორგანიზაციის პოლიტიკის შესაბამისად დივიდენდების გაცემა ხსწლა მხოლოდ იმწელს, როდესაც სრული შემოსავალი აჭარბებს 1,050 ათას ლარს. აღნიშნულ შემთხვევაში 1,050 ათას ლარზე ნამეტი შეიძლება გაიცეს დივიდენდად, ასევე პერიდში გაცემულმა დიდივენდის მოცულობამ, არ უნდა გადააჭარბოს პერიოდის სრული შემოსავლის 30%-ს.

კომპანიას მიღებული სესხების ფარგლებში ინვესტოებთან აღებული აქვს ვალდებულება ქვემოთ მოცემული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებაზე.

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ათას ქართულ ლარში)

21. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კრედიტორების მიერ დაწესებული კოვენანტები	2018	2017
(LLR/PAR (90) +რესტრუქტურიზებულისესხები)	≥100%	≥100%
(Par (30) + გადავადებულისესხები)/კაპიტალი	<=15%	<=15%
გადახდისუნარიანობა (კაპიტალი/აქტივები)	>20%	>10%
AROA LTM	>0%	>0%
კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	>15%	>15%
მთლიანი სესხები/კაპიტალის კოეფიციენტი	100%<x<500%	100%<x<400%
სხვისი სესხების უზრუნველყოფის კოეფიციენტი	<15%	<15%
საოპერაციო თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი	≥100%	≥100%
PAR (30) + გადავადებულისესხები	<5%	<=5%
PAR (30) + გადავადებული სესხები + ჩამოწერილი სესხების კომბინირებული კოეფიციენტი	<8%	<8%
უზრუნველყოფილი სასესხო პორტფელი	<50%	<50%
რისკის დაფარვის კოეფიციენტი	>100%	>100%
აქტივებზეუკუგება	>0%	>0%
კაპიტალის უკუგება	>0%	>0%
დაუფარავი კაპიტალის კოეფიციენტი	<25%	<25%
ჩამოწერილი სესხების კოეფიციენტი	<4%	<4%
FX ღია პოზიცია	=-25% <FX ღია პოზიცია< 10%	=-50% <FX ღია პოზიცია< 10%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებდა შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტებს:

ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ფინანსურ კოეფიციენტებს	მოთხოვილი	რეალური
(LLR/PAR (90) +რესტრუქტურიზებული სესხები)	≥100%	99%
რისკის დაფარვის კოეფიციენტი	>100%	66%
PAR (30) + გადავადებული სესხები + ჩამოწერილი სესხების კომბინირებული კოეფიციენტი	<8%	9%

22. ოპერაციებიდაკავშირებულმხარეებთან

დაკავშირებულიმხარეებიანოპერაციებიდაკავშირებულმხარეებთან,როგორცწარმოდგენილიაბასს 24-ში „ინფორმაციადაკავშირებულმხარეებზე", წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიცპირდაპირანარაპირდაპირერთიანრამდენიმეშუამავლითაკონტროლებენ, კონტროლდებიანანარიანერთობლივიკონტროლისქვეშორგანიზაციასთან (მათშორის,დამფუძნებელორგანიზაციასადაფილიალებთან), ფლობენწილსორგანიზაციაში, რაცმნიშვნელოვანიგავლენისმიზეზიადაფლობენსაერთოკონტროლსორგანიზაციაზე;

(ბ)ორგანიზაციისანმისიმშობელისაწარმოსძირითადმმართველპერსონალს;

(გ)(ა)ან(ბ)პუნქტშიჩამოთვლილთაოჯახისწევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიცწარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტშიჩამოთვლილპირებისმიერკოტროლირებადანერთობლივადკონტროლირებადსაწარმოებს, ანამპირებსმნიშველოვანიგავლენააქვთმათზე, ანასეთსაწარმოშიხმისმიცემისუფლებაპირდაპირანარაპირდაპირამპირებისხელშია

დაკავშირებულმხარეებთანყოველიშესაძლოურთიერთობისგანხილვისასყურადღებაექცევაამურთიერთობისარსსდაარაუბრალოდიურიდიულფორმას.
ორგანიზაციასადამისდაკავშირებულმხარეებსშორისოპერაციებისშესახებდეტალურიინფორმაციამოცემულიაქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები
ხელფასები და თანამშრომელთასხვა სარგებელი	(616)	(253)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(599)	(265)	(10)

23. საანგარიშგებოპერიოდისშემდგომიმოვლენები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგულაციები შედის ძალაში. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მისოს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

-97-

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191154302
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ფუტკარაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ზუგდიდი გამარჯვების ქ. N 3 I სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	253977
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	24593628706819

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ცხრამეტი წლის **ოც სექტემბერს** მე ნოტარიუს მაია ფუტკარაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე : ზუგდიდი, გამარჯვების ქ.№3 მომმართა თარჯიმანმა ელზა ჯიგანიამ (პ/ნ № 62006012219, პ/მ № 13IA76458), რომელმაც წარმოადგინა და მოითხოვა ამ საბუთის მის **ინგლისური** ენიდან **ქართულ** ენაზე შესრულებულ თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. თარჯიმანი გაფრთხილებულ იქნა ჩემს მიერ თარჯიმნობის გამომრიცხავ გარემოებებზე და თარგმანის სისწორეზე პასუხისმგებლობის შესახებ. თარჯიმანმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი მუსტია, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მის მიერ შესრულებულ თარგმანს, რასაც ვამოწმებ. მე შევამოწმე მისი უფლებაუნარიანობა (დიპლომი ავ №0000414) და ვადასტურებ რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 106. 00 ლარი ხელმოწერის დამოწმებისათვის + 2 ლარი (ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისთვის) +19.08 ლარი დღგ- საქართველო საგადასახადო კოდექსის 169 –ე მუხლის საფუძველზე, სულ 127.08 ლარი/ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება № 507-ის 31.3 მ.39.1) საფუძველზე

On the **twentieth of September** two thousand and nineteen year, I, Maia Putkaradze notary, in my notary bureau, which is located in the following address: C. Zugdidi, Gamarjveba str. №3, first floor, applied Elza Jigania (personal N 62006012219, ID Card № 13IA76458) submitted **document** She translated above mentioned document from **English into Georgian** and required to prove the reality of her signature on the above mentioned document by notarial rules. I checked up the personality of Mrs. E Jigania on the ground of submitted ID by her and her capacity for translating deeds (diploma av # 0000414) and am confident that she is empowered for this action. Translator was warned about any translation circumstances and her responsibilities for the accurate translation Translator is warned that she is responsible for the accurate translation. Followed she undersigned this document personally in my presence.

Paid notary service fee in amount of 106.00 Gel + 2.00 GEL is paid (for the registration in electronic registry) + 19.08 VAT According to Georgian tax payment rule paragraph 169. In total 127.08 Gel. According to №507 regulation for the notarial activities of the notary fee and regulated payment by Georgian notary chamber their payment rules and service terms on the base of the order dated 29.12.2011, 31.3 39.I 3Paragraph)

ნოტარიუსი მაია ფუტკარაძე

Notary Maia Putkaradze

მმართველობის ანგარიშგება

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალი“

2018 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალის" დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 15 მაისს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

20 სექტემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალის" დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2019 წლის 15 მაისს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

20 სექტემბერი 2019

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი 4
ფინანსური მაჩვენებლები 5
საოპერაციო მაჩვენებლები 5
სტრატეგია 7
ძირითადი მიღწევები 7
მმართველობა 7
სასესხო პროდუქტები 7
2018 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა 8
ინფორმაცია ფილიალების საოპერაციო საქმიანობაზე 13
სამომავლო გეგმები 16
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 16

შესავალი

სს “ლაზიკა კაპიტალი” წარმოადგენს არასაბანკო, არასადეპოზიტო მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს კანონის “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” და საქართველოს კანონის “მეწარმეთა შესახებ” შესაბამისად.

სს მისო „ლაზიკა კაპიტალი“ მიკროდაკრედიტების სფეროში მოქმედი ერთ-ერთი მოწინავე კომპანიაა, რომლის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში. კომპანიის მისია მდგომარეობს მცირე და საშუალო შემოსავლების მქონე მეწარმეებისათვის ადეკვატური ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, მეწარმეთა ზღვრულად დაბალშემოსავლიან სეგმენტზე საჭირო სასტარტო და საბრუნავი კაპიტალის წარმოქმნასა და დაბალშემოსავლიანი ბაზრის მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტებთან ინტეგრირებაში. მცირე ზომის სასოფლო და ნახევრად ურბანულ ტერიტორიებზე მოქმედი მეწარმეები წარმოადგენს სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ გეოგრაფიული ექსპანსიის ძირითად არეალს.

სს მისო „ლაზიკა კაპიტალმა“ საქმიანობა დაიწყო 2000 წელს მცირე საკრედიტო პროექტის სახით, რომელიც ფინანსდებოდა ფონდი „ოქსფამის“ მიერ. 2003 წელს განხორციელდა პროექტის გამოყოფა „ოქსფამისაგან“ და დარეგისტრირდა როგორც „მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“. 2007 წელს მარეგულირებელი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფონდი გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და აღნიშნული პერიოდიდან ოპერირებს, როგორც სს მისო „ლაზიკა კაპიტალი“. კომპანია 2006 წლიდან ფინანსდება მოწინავე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ.

სტრატეგიულ ხედვაში წარმოდგენილი მკვეთრი პრო-სოციალური კურსის მიუხედავად, “ლაზიკა კაპიტალი” წარმოადგენს მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციას და მიზნად ისახავს ინვესტირებულ კაპიტალზე ოპტიმალური ფინანსური უკუგების მიღებას.

სს მისო ლაზიკა კაპიტალი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური მაჩვენებლები

წმინდა მოგება (ათასი ლარი)

კლება 97.05%



საოპერაციო შემოსავალი

ზრდა 35%



უკუგება კაპიტალზე

კლება 7.9 pp



უკუგება საშუალო აქტივებზე

კლება 2.8 pp



ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა

ზრდა 10.0 pp



მთლიანი აქტივები (ათასი ლარი)

ზრდა 14%



საოპერაციო მაჩვენებლები

	აქტიური მსესხებლების რაოდენობა	გაცემული სესხები	დასაქმებულთა რაოდენობა	ფილიალების რაოდენობა
2018	**12,291**	**44.3 მლნ ლარი**	**248**	**18**
2017	9,129	39.1 მლნ ლარი	226	17

გენერალური დირექტორის წერილი

სს მისო „ლაზიკა კაპიტალი“ 2018 წელსაც განაგრძნობდა მისი სტრატეგიული მიზნის რეალიზაციას, რაც დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდაში გამოიხატებოდა. აღნიშნული ძალისხმევის ნათელი დადასტურებაა საანგარიშო წლის განმავლობაში საკრედიტო პორტფელის 22 %-იანი და საოპერაციო შემოსავლების 35,4 %-ანი ზრდა.

სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოში, რომელიც კომპანიის ოპერირების არეალს წარმოადგენს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან კლიენტების შემოსავლების მნიშვნელოვანმა შემცირებამ, რაც უმთავრესად თხილის, ასევე სხვა პროდუქტების დაბალ მოსავლიანობასთან და შესასყიდ ფასებთან იყო დაკავშირებული, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენი კლიენტების გადახდისუნარიანობაზე. წლის მეორე ნახევრიდან შემოღებულმა საკანონმდებლო რეგულაციებმა მხოლოდ გააღრმავა აღნიშნული პროცესი, რის შედეგადაც გაიზარდა პორტფელის რისკიანობა, რაც დამახასიათებელი არ იყო ჩვენი ორგანიზაციისათვის. ყოველივე აღნიშნულმა გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მოგებაზე, რომელიც 2018 წლის მანძილზე კომპანიის აქტიური და მზარდი საოპერაციო საქმიანობის მიუხედავად, ვერ მიუახლოვდა წლიური ბიუჯეტით დაგეგმილ მაჩვენებელს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა და მზარდი კონკურენციისა, კომპანიის მიერ მიღწეული შედეგები, რაც გამოიხატა ფილიალების რაოდენობის, საკრედიტო პორტფელისა და საოპერაციო აქტივობის ზრდაში, ასევე მომსახურების და მომხმარებელზე მიწოდებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებაში, ნათლად ადასტურებს მის უნარს გაუმკლავდეს არსებულ და სამომავლო გამოწვევებს და განაგრძოს წარმატებული განვითარების გზა.

სტრატეგია

ძირითადი მიღწევები

2018 წელს სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ სასესხო პორტფელის მოცულობა 31.7 მლნ ლარიდან 38.8 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც პროცენტულ გამოხატულებაში 22 %-იან ზრდას შეესაბამება. ამავე პერიოდში აქტივების მთლიანი მოცულობა 42.2 მლნ ლარიდან 48.1 მლნ ლარამდე გაიზარდა. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ასევე საპროცენტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისითაც, რომელიც 2017 წლის 8.3 მლნ ლარიდან 2018 წელს 11,7 მლნ ლარამდე გაიზარდა, ანუ ზრდამ შეადგინა 40 %.

მიღწეული შედეგები განაპირობა კომპანიაში ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, როგორიც არის კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის განახლება, ახალი სასესხო პროდუქტების დანერგვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

2018 წელს კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა 226 თანამშრომლიდან 248-მდე გაიზარდა. დასაქმებულთა რიცხვის ზრდამ შეადგინა 10%. ასევე, ერთი ერთეულით გაიზარდა კომპანიის ფილიალების რაოდენობა და 18 ფილიალი შეადგინა. კომპანია კვლავაც განაგრძობს ნიჭიერი და მოტივირებული კადრების მოზიდვას და შრომით ბაზარზე ერთ-ერთი აქტიური დამსაქმებელია.

მმართველობა

სს მისო „ლაზიკა კაპიტალში“ უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საფინანსო სფეროში ფართო და მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე პიროვნებებისგან. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს კომპანიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებას, განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიას, ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს, იხილავს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, ახორციელებს კონტროლს კომპანიის საქმიანობაზე.

ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი დირექტორთა საბჭოს მეშვეობით. დირექტორთა საბჭოს წევრებს წარმოადგენენ საოპერაციო, გაყიდვების, საფინანსო და რისკების დირექტორები. დირექტორთა საბჭოს შეკრებები იმართება რეგულარულად და მასზე განიხილება ორგანიზაციის მიმდინარე საკითხები და მათი გადაჭრის გზები.

სასესხო პროდუქტები

ხელმისაწვდომობა, ადეკვატურობა, რენტაბელურობა და ეფექტიანობა არის „ლაზიკა კაპიტალი“-ს სასესხო პროდუქტების სტრუქტურის და დიაპაზონის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები.

დაბალშემოსავლიან მეწარმეთა ქვედა ზღვარისთვის გამარტივებული სესხის აღების პროცედურები დაბალანსებულია შედარებით რთული და კომპლექსური მოთხოვნებით მოზრდილი სასესხო თანხებისათვის, რომლიც დამახასიათებელია უფრო დინამიური მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორისათვის.

ამ ეტაპზე ორგანიზაციის საკრედიტო სქემა წარმოდგენილია შემდეგი სასესხო პროდუქტებით:

1) მრავალპროფილიანი, ინდივიდუალური, სტანდარტული ბიზნეს სესხები 15,000 ლარის ჩათვლით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის;
2) მრავალპროფილიანი, ინდივიდუალური, სტანდარტული ბიზნეს სესხები 15,001-დან 100,000 ლარის ჩათვლით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის;
3) განვადება;

2018 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ ფინანსური შედეგები მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების მიხედვით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2018	2017	ცვლილება
უკუგება კაპიტალზე 1	2.9%	10.8%	-7.9 pp
უკუგება აქტივებზე 2	0.7%	3.5%	-2.7 pp
ხარჯი/შემოსავალთან 3	97%	87%	10.0 pp

კოეფიციენტების განსაზღვრება მოცემულია მე-13 გვერდზე.

მომგებიანობა

სს მისო „ლაზიკა კაპიტალი“ არის მომგებიანი კომპანია, რაზეც მეტყველებს მისი ფინანსური შედეგები. 2018 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 27 ათასი ლარი, რაც ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. წმინდა მოგების შემცირება განაპირობა სესხების რეზერვის ხარჯის ზრდამ 1,8 მლნ ლარამდე, რის შედეგადაც წმინდა საპროცენტო შემოსავლების 31,7 %-იანი ზრდის მიუხედავად, წმინდა მოგება წინა წელთან შედარებით 97%-ით ნაკლებია. ამასთან ერთად, მთლიანი საოპერაციო შემოსავლები გაიზარდა 35.4 %-ით, ხოლო საოპერაციო ხარჯები 51.7%-ით. შედეგად, გაუარესდა კომპანიის უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე და აქტივებზე და შეადგინა შესაბამისად 2,9 % და 0,7 %.

₾ '000	2018	2017	ცვლილება
წმინდა მოგება	27	914	-97%
უკუგება კაპიტალზე	2.9%	10.8%	-7.9 pp
უკუგება მთლიან აქტივებზე	0.7%	3.5%	-2.7 pp

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

კომპანიის წმინდა საკომისიო შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 11,721 ათასი ლარი, რაც წინა წლის მონაცემს აჭარბებს 40,5%-ით. წმინდა საკომისიო შემოსავლის ზრდა განაპირობა სასესხო პორტფელის მოცულობის მნიშვნელოვანმა ზრდამ.

₾ '000	2018	2017	ცვლილება
საპროცენტო შემოსავალი	11,721	8,343	40.5%
საპროცენტო ხარჯი	(2,705)	(1,496)	80.8%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	9,016	6,847	31.7%

სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2018 წლისთვის შეადგენდა 272 ათას ლარს, რაც 2017 წელთან შედარებით 1%-ითაა გაზრდილი. ზრდის ძირითადი მიზეზია გაზრდილი საოპერაციო საქმიანობა.

₾ '000	2018	2017	ცვლილება
სხვა საოპერაციო შემოსავალი	272	271	1%

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2018 წელს არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 312 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 372 ათასი ლარი. კლება შეადგენს 16,1 %-ს. აღნიშნული კლება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2017 წელს ჩამოწერილი სესხებიდან მოხდა ნაკლები ჯარიმების და პირგასამტეხლოების დაფარვა.

₾ '000	2018	2017	ცვლილება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	312	372	-10.8 %

საოპერაციო ხარჯები

2018 წელს მთლიანმა საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 11,964 ათასი ლარი, რაც 2017 წელთან შედარებით 51,4 %-იანი ზრდა შეადგენს. ზრდა ძირითადად განპირობებულია ვალუტის გაუფასურების ხარჯით, ასევე საპროცენტო ხარჯის ზრდით, რაც გაცემული სესხების მოცულობის ზრდით და შესაბამისად დამატებით მოზიდული სახსრებითაა განპირობებული.

მთლიანობაში საოპერაციო ხარჯების ზრდა განპირობებულია კომპანიის საოპერაციო აქტივობის ზრდით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მოზიდული თანხების მოცულობა, ასევე თანამშრომელთა რაოდენობა და შესაბამისად მათთან დაკავშირებული ხარჯი.

საოპერაციო ხარჯები

₾ '000	2018	2017	ცვლილება
სახელფასო ხარჯები	(3,717)	(3,327)	11.73%
ცვეთა და ამორტიზაცია	(434)	(379)	14.51%
სატრანსპორტო ხარჯი	(197)	(186)	5.91%
საიჯარო ხარჯი	(311)	(200)	55.50%
საპროცენტო ხარჯი	(2,705)	(1,496)	80.82%
კომუნალური ხარჯი	(97)	(86)	12.79%
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(1,099)	(1,449)	(24.11%)
სხვა ხარჯები	(3,404)	(778)	340.39%
საოპერაციო ხარჯები	**(11,964)**	**(7,900)**	**51.4%**

კვლევებზე და განვითარებაზე გაწეული ხარჯები

კომპანიის მიერ კვლევებისა და განვითარების მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობამ 28,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებლის 138%-ს შეადგენს. გაწეული ხარჯები მოიცავს თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე ახალი თანამშრომლების გადამზადების ხარჯებს.

დასახელება	2018	2017	+/- %
თანამშრომლების ტრეინინგის ხარჯი	17.9	2.0	783.6%
კონფერენციებზე მონაწილეობის ხარჯი	10.2	7.9	28.6%
ახალი თანამშრომლების გადამზადების ხარჯი	0.3	2.0	(84.0%)
სულ კვლევები და განვითარება	**28.4**	**12.0**	**138%**

სხვა აქტივების, მ.შ წარმოებული ფინანსური აქტივების გაშიფვრა

	2018	2017
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	229
დებიტორები	33	69
მარაგები	59	24
გადასახადები	80	5
სხვა აქტივები სულ	**172**	**327**

წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები, 2018

	სამართლიანი ღირებულება	
	აქტივი	ვალდებულება
Swap კონტრაქტი N1	-	301
Swap კონტრაქტი N2	-	15
Swap კონტრაქტი N3	-	46
Swap კონტრაქტი N4	-	29
Swap კონტრაქტი N5	-	18
Swap კონტრაქტი N6	-	4
Swap კონტრაქტი N7	-	3
Swap კონტრაქტი N8	-	97
Swap კონტრაქტი N9	-	56
სავალუტო კონტრაქტები სულ	**-**	**569**

წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები, 2017

	სამართლიანი ღირებულება	
	აქტივი	ვალდებულება
Swap კონტრაქტი N1	77	-
Swap კონტრაქტი N2	57	-
Swap კონტრაქტი N3	50	-
Swap კონტრაქტი N4	16	-
Swap კონტრაქტი N5	12	-
Swap კონტრაქტი N6	11	-
Swap კონტრაქტი N7	6	-
Swap კონტრაქტი N8	-	189
Swap კონტრაქტი N9	-	139
Swap კონტრაქტი N10	-	119
სავალუტო კონტრაქტები სულ	**229**	**447**

სესხის გაუფასურების ხარჯის/შემოსავლის ცვლილება

2018 წლის გაუფასურების რეზერვის გამოთვლისას, ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომა. მისი წინამორბედი ბასს 39-გან განსხვავებით, სტანდარტის ძირეული პრინციპი გაუფასურების მიმართ მდგომარეობს გაუფასურების რეზერვის აღიარებაში მანამ, სანამ ზარალი სინამდვილეში დადგება. ზარალი აღიარდება აქტივის სრული არსებობის განმავლობაში, მიუხედავად აქტივის საკრედიტო ხარისხის გაუარესებისა. თუმცა, საკრედიტო ხარისხის გაუარესება იწვევს ზარალის აღიარების მიდგომისა და მოცულობის ცვლილებას.

საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივი ანალიზი

მომხმარებლებზე გაცემული სესხების ხარისხობრივი ანალიზი	31 დეკემბერი 2018		
	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი ზარალი	წმინდა სესხები
სტანდარტული სესხები	37,397	(322)	37,075
სესხები 30 დღიანი ვადაგადაცილებით	641	(115)	526
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	371	(126)	245
60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	384	(165)	219
90-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	872	(694)	178
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	235	(161)	74
რესტრუქტურიზებული	505	(12)	493
სულ ჯამი 31 დეკემბერი 2018-ის მდგომარეობით	**40,405**	**(1 595)**	**38,810**

მომხმარებლებზე გაცემული სესხების ხარისხობრივი ანალიზი	31 დეკემბერი 2017		
	მთლიანი სესხები	საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები
სტანდარტული სესხები	31,652	(321)	31,331
სესხები 30 დღიანი ვადაგადაცილებით	157	(16)	141
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	82	(16)	66
60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	78	(33)	45
90-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	227	(150)	77
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2	(2)	-
რესტრუქტურიზებული	85	(13)	72
სულ ჯამი 31 დეკემბერი 2018-ის მდგომარეობით	**32,283**	**(551)**	**31,732**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა

	1-ლი სტადია 12 თვიანი ECL	მე-2 სტადია ECL არსებობის მანძილზე	მე-3 სტადია საკრედიტო რისკით გაუფასურებული ECL	სულ
გაუფასურების რეზერვი პერიოდის დასაწყისში	**227**	**55**	**510**	792
ახალი სესხები	314	122	252	688
1 სტადიაზე გადასვლა	3	-	(3)	-
მე- 2 სტადიაზე გადასვლა	(4)	4	-	-
მე-3 სტადიაზე გადასვლა	(7)	(2)	9	-
დაფარული სესხები	(124)	(5)	(107)	(236)
ჩამოწერილი ძირი	(32)	(47)	(347)	(426)
ჩამოწერილიდან დაფარული ძირი	-	-	96	96
სხვა გაუფასურების რეზერვი	69	174	438	681
გაუფასურების რეზერვი პერიოდის ბოლოს	**446**	**301**	**848**	**1 595**

ნასესხები სახსრები

2018 წლის მონაცემებით ნასესხები სახსრების მოცულობა შეადგენდა 35,554 ათას ლარს, რაც 2017 წლის ნასეხებ თანხებთან - 30174 ათას ლართან შედარებით 17.83 %-ითაა გაზრდილი. კომპანიის მიერ ნასესხები სახსრები მოზიდულია მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან არაუზრუნველყოფილი სესხების სახით.

	2018	2017	ცვლილება
ნასესხები სახსრები	35,122	29,839	17.71%
დარიცხული პროცენტი	432	335	28.96%
მთლიანი ნასესხები სახსრები	**35,554**	**30,174**	**17.83%**

ინფორმაცია ფილიალების საოპერაციო საქმიანობაზე

2018 წლის განმავლობაში „ლაზიკა კაპიტალი“ ოპერირებდა 18 ფილიალის მეშვებით. ფილიალების მეშვეობით გაცემული სესხების მოცულობამ საანგარიშო პერიოდში 44,2 მლნ ლარი, ხოლო გაცემული სესხების რაოდენობამ 15981 შეადგინა. ფილიალების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა, გაცემული სესხების მოცულობა და რაოდენობა, ასევე სასესხო პორტფელის მოცულობა ასახულია თანდართულ ცხრილში.

ინფორმაცია ფილიალების შესახებ

ფილიალის დასახელება	თანამშრომელთა რაოდენობა 31/12/2018	მსესხებელთა რაოდენობა 2018	გაცემული სესხების ბალანსი (ათ. ლარი) 31/12/2018	გაცემული სესხების მოცულობა (ათ. ლარი) 2018	გაცემული სესხების რაოდენობა 2018
სათაო,ოფისი	34				
ზუგდიდი	36	1,960	6,072	5,514	2,214
წალენჯიხა	8	478	1,175	1,296	570
მესტია	8	256	1,034	1,555	427
სენაკი	18	1,046	3,237	3,289	1,307
მარტვილი	12	658	1,893	2,361	1,018
ჩხოროწყუ	10	498	1,373	1,658	717
ოზურგეთი	10	773	2,041	2,579	1,155
ბათუმი	11	207	807	2,557	737
ქობულეთი	9	804	3,380	3,537	996
ხულო	8	391	1,578	1,633	516
ქუთაისი	17	1,148	3,826	4,023	1,266
სამტრედია	8	557	1,576	1,683	698
ცაგერი	7	476	970	1,116	837
ზესტაფონი	17	1,033	3,916	4,476	1,300
ბაღდათი	8	470	1,482	1,661	646
ხელვაჩაური	10	478	2,203	2,168	562
ხობი	6	303	891	1,256	514
ბათუმი,2	11	755	2,954	1,892	501
სულ	**248**	**12,291**	**40,405**	**44,252**	**15,981**

საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიის მიერ 2018 წელს საკუთარი აქციების ამოსყიდვა აქციონერებიდან ან სახაზინო აქციების გაყიდვა არ განხორციელებულა. ამდენად, სახაზინო აქციების რაოდენობა 2018 წელს დარჩა უცვლელი 22 250 აქცია (აქციების საერთო რაოდენობის 11,9 %) და მათი ნომინალური ღირებულება 445 ათას ლარს შეადგენს.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

დასახელება	2018	2017	+/- %
აქტიური სესხების რაოდენობა	13,684	10,543	29.79%
აქტიური მსესხებლების რაოდენობა	12,291	9,129	29.79%
ქალი მსესხებლების რაოდენობა	5,812	4,188	38.78%
მსესხებლების რაოდენობა სოფლად	9,069	6,675	29.79%
გაცემული სესხების რაოდენობა	15,982	12,171	31.31%
ახალ მსესხებლებზე გაცემული სესხების რაოდენობა	7,848	5,397	29.79%
დახურული სესხების რაოდენობა	12,145	9,290	30.73%
რეფინანსირებული სესხების რაოდენობა	308	234	29.79%
კონსულების რაოდენობა	1	3	-66.67%
დასაქმებულთა რაოდენობა	248	226	29.79%
საკრედიტო მენეჯერების რაოდენობა	15	14	7.14%
ჯგუფის უფროსების რაოდენობა	7	9	29.79%
საკრედიტო ექსპერტების რაოდენობა	72	64	12.50%
ფილიალების რაოდენობა	18	17	29.79%

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

1. უკუგება კაპიტალზე უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებული იმავე პერიოდის აქციონერების კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე.
2. უკუგება აქტივებზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე.
3. ხარჯი/შემოსავალთან უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან.

სამომავლო გეგმები

სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ დამტკიცებული ბიუჯეტით 2019 წელს განსაზღვრულია კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. კომპანიის აქტიური მსესხებლების რაოდენობის ზრდა დაგეგმილია 15491-მდე (+ 26,04 %), ხოლო მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდა დაგეგმილია 50,8 მლნ ლარამდე (+27,96 %). აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია 2019 წლის განმავლობაში გაცემული სესხების რაოდენობის 17 ათასამდე (+41,14 %), ხოლო გაცემული სესხების მოცულობის 50,4 მლნ ლარამდე (+ 14,11 %) გაზრდა. წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა დაგეგმილია 262 დასაქმებულამდე (+ 5,65 %), მათ შორის საკრედიტო ექსპერტების რაოდენობის ზრდა 80-მდე (+11,1 %). 2019 წლის ბიუჯეტით ფილიალების რაოდენობის რაოდენობის ზრდა დაგეგმილი არ არის. მათი რაოდენობა განისაზღვრა არსებული რაოდენობით და 18 ფილიალს შეადგენს.

დასახელება	2018	2019 დაგეგმილი	+/- %
აქტიური მსესხებლების რაოდენობა	12,291	15,491	26.04%
მთლიანი პორტფელი	39,731	50,841	27.96%
გაცემული სესხების საშუალო მიმდინარე ბალანსი	2,769	3,282	18.53%
გაცემული სესხების რაოდენობა	12,171	17,179	41.14%
სულ გაცემული სესხების მოცულობა	44,252	50,496	14.11%
დასაქმებულთა რაოდენობა	248	262	5.65%
მ.შ. საკრედიტო ექსპერტების რაოდენობა	72	80	11.11%
ფილიალების რაოდენობა	18	18	0.00%

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა. კომპანიაში არსებობს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის ერთეული როგორც დამოუკიდებელი მხარე, რომელი ერთეულიც არ არის ჩართული კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში და ახდენს სხვადასხვა პროცესების დამოუკიდებელ შემოწმებას და შეფასებას. სს მისო „ლაზიკა კაპიტალში“ შიდა აუდიტს ახორციელებს გარე კომპანია FMG “ლაზიკა კაპიტალთან” გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა, კომპანიაში მოქმედებს შიდა და საველე კონტროლის განყოფილება, რომელიც ასევე უშუალოდაა ჩართული კომპანიის ძირითადი რისკების იდენტიფიცირებასა და გამოვლენაში. განყოფილება ასევე არ მონაწილეობს ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას შიდა კონტროლის განხორციელებისას. განყოფილების ანგარიშები სისტემატურად წარედგინება რისკების კომიტეტსა და დირექტორთა საბჭოს. კომპანიის შიდა კონტროლის განყოფილება პერიოდულად ატარებს დამოუკიდებელ შემოწმებას, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი რისკები და გაუმჯობესებული შესაბამისი კონტროლები.

ქვემოთ ჩამოთვლილია სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

1. კანონმდებლობასთან შეუსაბამობა

რისკის აღწერა

ფინანსურ სფეროში მოქმედი კომპანიები აქტიურად განიცდიან კანონმდებლობასთან შეუსაბამობით გამოწვეულ რისკებს, რაც აღნიშნულ სფეროში მიღებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების სიმრავლით და ამ სფეროში მიმდინარე მუდმივი ცვლილებებითაა განპირობებული. აღნიშნულიდან გამომდინარე კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკის მიტიგაცია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მისო „ლაზიკა კაპიტალისათვის“.

რისკის განეიტრალება

მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიაში გამოყოფილია ანგარიშგებებზე პასუხისმგებელი პირი საეჭვო ოპერაციების გამოვლენისა და მონიტორინგის სამსახურში ანგარიშგებების წარსადგენად. აღნიშნული პირი ასევე უზრუნველყოფს AML-ის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგებების წარდგენას. ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვის მიზნით ფუნქციები განაწილებულია დირექტორებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მათ დაქვემდებარებული საქმიანობის კანონმდობლობის მოთხოვნის შესაბამისად წარმართვაში და შესაძლო შეუსაბამობების გამოვლენაში. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის კუთხით საანგარიშგებო პერიოდში რამე სახის დარღვევა არ გამოვლენილა.

2. ბიზნესის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია შიდა ან გარე თაღლითობა

რისკის აღწერა

გარე თაღლითობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედება მესამე პირის მიერ ან კომპანიის თანამშრომლების დაყაჩაღება. შიდა თაღლითობა კი მომდინარეობს სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან.
აღსანიშნავია, რომ საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას შიდა და გარე თაღლითობებით მიყენებული ზარალი არ განუცდია.

რისკის განეიტრალება

სს მისო „ლაზიკა კაპიტალის“ შიდა და საველე კონტროლის განყოფილება ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, თაღლითობის რისკების აღმოჩენის და თავიდან აცილების მიზნით. შიდა და საველე კონტროლის განყოფილების მიერ ხორციელდება სასესხო პორტფელის მონიტორიგი, რისთვისაც წინასწარ შერჩეული მსესხებლების საქმიანობის ანალიზი ხორციელდება ადგილზე ვიზიტით. მონიტორინგისას გამოვლენილი შეუსაბამობების ანალიზი პერიოდულად მიეწოდება რისკების კომიტეტსა და დირექტორთა საბჭოს, ხოლო თაღლითობის რისკის გამოვლენის შემთხვევაში ანგარიში დაუყოვნებლივ წარედგინება დირექტორთა საბჭოს. პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით კომპანიაში მუდმივად ხდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების გაუმჯობესება.

3. ლიკვიდობის რისკი

რისკის აღწერა

ლიკვილობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

რისკის განეიტრალება

ლიკვიდობის რისკის გასანეიტრალებლად ფინანსური განყოფილება რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ასევე, მუდმივად კონტროლდება ფულადი ნაშთები, რათა დროულად მოხდეს ფულადი სახსრების მობილიზაცია საბანკო ანგარიშებზე. ფულადი ნაშთების მიმდინარე კონტროლი ასევე ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტის დაცვის მიზნით.

უფლებამოსილი პირი

_____ ბ.შენგელია

3. ლიკვიდობის რისკი

რისკის აღწერა

ლიკვილობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

რისკის განეიტრალება

ლიკვიდობის რისკის გასანეიტრალებლად ფინანსური განყოფილება რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ასევე, მუდმივად კონტროლდება ფულადი ნაშთები, რათა დროულად მოხდეს ფულადი სახსრების მობილიზაცია საბანკო ანგარიშებზე. ფულადი ნაშთების მიმდინარე კონტროლი ასევე ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტის დაცვის მიზნით.

უფლებამოსილი პირი

ბ.შენგელია